ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს დებულება

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1.
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭო (შემდგომში **სსს**) არის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების გზით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო. სსს-ს საქმიანობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს, საქართველოს სტუდენტთა უფლებების დეკლარაციას, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებას, ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დებულებას და მოცემულ დებულებას. სსს არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.

მუხლი 2.
დებულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები:
ა) უნივერსიტეტი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ბ) ფაკულტეტი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულრტეტი;
გ) სტუდენტი - პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის/ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად;
დ) სტუდენტთა სამეცნიერო საბჭო (სსს) - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულრტეტის სტუდენტების წარმომადგენლობითი ორგანო;
ე) უნივერსიტეტის ადმინისტრაცია - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა რგოლის მმათველობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს უნივერსიტეტის ადმინისტრირებასა და სასწავლო პროცესს;
ვ) ფაკულტეტის ადმინისტრაცია - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის მათველობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს ფაკულტეტის ადმინისტრირებასა და სასწავლო პროცესს.
ზ) საგანმანათლებლო პროგრამა - სასწავლო პროგრამა საფეხურების მიხედვით.

მუხლი 3.
ა) სსს-ს სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, ფაკულტეტის დებულებითა და წინამდებარე დებულებით;
ბ) სსს თავისი ინტერესების შესაბამისად, უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და მის საქმიანობაში ჩარევა ან მასზე რაიმე ზემოქმედების მოხდენა უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციის ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ დაუშვებელია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
გ) სსს-ს არსებობის ვადა განუსაზღვრელია;
დ) სსს-ს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება სამივე საფეხურის სტუდენტებიდან, წინასწარ განსაზღვრული კვოტის მიხედვით არჩეული სტუდენტებით.

თავი II
სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს მიზანი და ამოცანები

მუხლი 4.
მიზანი და ამოცანებია:
ა) უზრუნველყოს თითოეული სტუდენტის მაქსიმალური ჩართულობა ფაკულტეტის საზოგადოებრივ საქმიანობაში;
ბ) მედიცინის (სამკურნალო, სტომატოლოგია, ოკუპაციური თერაპია, საზოგადოებრივი ჯანდაცვა) სფეროში სამეცნიერო-კვლევით, სასწავლო-საგანმანათლებლო, საქველმოქმედო, სპორტული და სტუდენტური ცხოვრებისათვის საინტერესო სხვა სფეროებში სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობის ხელშეწყობა;
გ) ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაში სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობის ხელშეწყობა;
დ) საქართველოს საშუალო სკოლის მოსწავლეებს შორის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოპულარიზაციის ხელშეწყობა;
ე) ყოველწლიურად სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების ორგანიზება და სხვა ღონისძიებების ორგანიზება.
ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშაოს კონკრეტული წინადადებები ფაკულტეტზე სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომლებიც პირველ რიგში მიმართული იქნება სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებისაკენ.
ზ) სსს-ს აქტივობების ეფექტიანად განხორციელებისა და ფაკულტეტის სამეცნიერო-მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი გაუმჯობესებისათვის სკოლის დამატებითი დაფინანსების ხელშეწყობა გრანტებისა და სპონსორების მოძიების გზით;
თ) ფაკულტეტზე თანამედროვე ცოდნაზე და ხარისხზე ორიენტირებული სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევების დაგეგმვის, დანერგვის, განხორციელებისა და სასწავლო პროცესთან ინტეგრაციის ხელშეწყობა;
ი) უცხოურ, საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან სამეცნიერო, კულტურულ და საინფორმაციო სფეროებში სტუდენტთა ურთიერთობის

კოორდინაცია;
კ) საგანმანათლებლო, სამეცნიერო, ინოვაციურ და გაცვლით პროექტებში სტუდენტთა მონაწილეობის მიზნით საქმიანი კონტაქტების დამყარება უცხოურ უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან და სხვ.;
ლ) საქართველოსა და მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან პარტნიორობით სტუდენტთა განვითარებისა და მხარდაჭერის პროგრამების (სტაჟირება, სწავლება, ერთობლივი სამეცნიერო კვლევები, გამოჩენილი მეცნიერების მოწვევა ლექცია-სემინარების ჩატარების მიზნით, საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში ფაკულტეტის სტუდენტების მონაწილეობის მხარდაჭერა და ა.შ.) ხელშეწყობა;
მ) საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების და ადგილობრივი ფონდების მიერ ახალი საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაციის მოძიება, ფაკულტეტზე მისი გავრცელება, საგრანტო პროექტების მომზადება-განხორციელებაში სტუდენტების საკონსულტაციო დახმარების კოორდინირებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობა;
ნ) განახორციელოს კანონითა და წინამდებარე დებულებით მისთვის დასაშვები უფლებამოსილებები.

თავი III
სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს უფლებამოსილებები

მუხლი 5.
უფლებამოსილებები:
ა) სსს წარმოადგენს სტუდენტის ინტერესებს უმაღლესი სასწავლებლისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, ასევე სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან და ცენტრებთან ურთიერთობაში;
ბ) სსს თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და ფაკულტეტის ადმინისტრაციას/საბჭოს წარუდგენს წინადადებებს ფაკულტეტზე არსებული პრობლემების რეგულირების თაობაზე თავისი ხედვის შესახებ;
გ) სსს უზრუნველყოფს სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;
დ) სსს იღებს გადაწყვეტილებებს სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების და სხვა ღონისძიებების ორგანიზების თაობაზე;
ე) სსს გასცემს საჭირო რეკომენდაციებს სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიებებსა და ჟურნალებში, შესაბამისად, მოხსენებებისა და სტატიების, თუ სხვა სახის ნაშრომების მისაღებად და გამოსაცემად.
ვ) სსს უფლებამოსილია მიიღოს დებულება და შეიტანოს ცვლილებები მასში წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3-ით;
ზ) დებულების გადახედვის ინიციატივის წამოყენების უფლება აქვს სსს-ს სიითი შემადგენლობის 1/3-ს.

თავი IV
სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს სტრუქტურა და მუშაობის პრინციპი

მუხლი 6.

ა) სსს წარმოადგენს ფაკულტეტის სტუდენტურ წარმომადგენლობით ორგანოს.

ბ) სსს-ში ცალკეული სასწავლო პროგრამიდან იქმნება სპეციალიზებული (პროგრამული) ავტონომიური ჯგუფები, რომლებიც ირჩევენ თავიანთ თავმჯდომარეებს;

მუხლი 7.

ა) სსს-ს უმაღლესი მმართველობითი ორგანოა წევრთა საერთო კრება, რომელიც იმართება სასწავლო სემესტრში 2-ჯერ მაინც. სსს-ს 1-ლი საერთო კრება თავდაპირველად იმართება სსს-ს დაფუძნებისას. სსს-ს საერთო კრების ჩატარების თარიღის შესახებ, საბჭოს წევრებს ეცნობებათ სხდომის ჩატარებამდე 1 კვირით ადრე მაინც;

ბ) სსს-ს 1-ლ საერთო კრებაზე ტარდება ხელმძღვანელი პირების (პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, აღმასრულებელი მდივანი) არჩევნები; მტკიცდება საბჭოს სტრუქტურა და მისი სემესტრული საქმიანობის გეგმა-გრაფიკები;

გ) სსს-ს საერთო კრებაზე განიხილება სსს-ს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა მიმდინარე და აქტუალური საკითხები;

დ) სსს-ს წლიური ანგარიშები წელიწადში 1-ჯერ ხსენდება სტუდენტთა ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციაზე;

ე) სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს საერთო კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი;

ვ) სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს საერთო კრებას ნიშნავს სსს-ს პრეზიდენტი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - ვიცე პრეზიდენტი.

ზ) სსს-ს გამგეობის სხდომები იმართება მინიმუმ თვეში 1-ჯერ. სსს-ს გამგეობის სხდომებს ნიშნავს სსს-ს პრეზიდენტი (მისი არყოფნის შემთხვევაში - ვიცე პრეზიდენტი). სსს-ს გამგეობის სხდომების ჩატარების თარიღის შესახებ, გამგეობის წევრებს ეცნობებათ სხდომის ჩატარებამდე 3 დღით ადრე მაინც;

თ) სსს-ს გამგეობის სხდომებზე განისაზღვრება სსს-ს ძირითადი პრიორიტეტები და ამოცანები მომავალი სემესტრების განმავლობაში. სხდომებზე ასევე განიხილება სსს-ს საქმიანობისათვის აუცილებელი ინოვაციური პროგრამები და პროექტები, რომლებსაც მას წარუდგენენ საბჭოს წევრები ან დამოუკიდებელი პირები (საბჭოს არაწევრი სტუდენტები, სამეცნიერო კონსულტანტები).

ი) სსს-ს სპეციალიზებული (პროგრამული - სწავლების საფეხურის მიხედვით) ჯგუფების სხდომები იმართება მინიმუმ 2 კვირაში 1-ჯერ. სსს-ს პროგრამული ჯგუფების სხდომებს ნიშნავს ჯგუფის თავმჯდომარე. სსს-ს პროგრამული ჯგუფების სხდომების ჩატარების თარიღის შესახებ, ჯგუფის წევრებს ეცნობებათ სხდომის ჩატარებამდე 1 დღით ადრე მაინც;

კ) სსს-ს პროგრამული ჯგუფების სხდომებზე განიხილავენ მიმდინარე საკითხებს და განსაზღვრავენ სსს-ს უახლოეს ძირითად პრიორიტეტებსა და ამოცანებს.

ლ) სსს-ს პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, აღმასრულებელი მდივანი და პროგრამული

ჯგუფების თავმჯდომარეები ქმნიან სსს-ს გამგეობას. სსს-ს გამგეობის შეხვედრებზე განიხილა სსს-ს საქმიანობის მიმდინარე საკითხები. შესაბამისად გამგეობის სხდომების ინტენსიობა დამოკიდებულია მიმდინარე გარემოებებზე და გარკვეულ პერიოდებში შესაძლებელია იყოს ყოველდღიურიც;

მ) სსს-ს გამგეობას, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებას უწევს ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ დანიშნული სამეცნიერო კონსულტანტი.

თავი V
სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს წევრობა

მუხლი 8.

ა) სსს წევრი არის არჩევნების წესით სსს-ში არჩეული სტუდენტი. მისი უფლებამოსილების ვადა იწყება მისი არჩევის მომენტიდან და განისაზღვრება 2 წლის ვადით;

ბ) სსს-ს წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი;

გ) სსს-ს წევრის უფლებამოსილება ძალაში შედის ახლადარჩეული სსს-ს პირველი შეკრებისთანავე.

მუხლი 9.

სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები:

ა) პირადი განცხადება

ბ) სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

გ) მობილობის წესით სხვა უნივერსიტეტში გადასვლა;

დ) სსს-ს გამგეობის/საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით (წევრთა უმრავლესობით) თუ იგი უხეშად არღვევს უნივერსიტეტის ან სსს-ს დებულებას, გულგრილად ეკიდება და არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და ხელს უშლის სსს-ს ფუნქციონირებას;

ე) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობისა, გარდაცვალების და უგზოუკვლოდ დაკარგვის შემთხვევაში;

ვ) არასაპატიო მიზეზით სსს-ს ოფიციალურ შეკრებაზე ზედიზედ 3-ჯერ არგამოცხადების შემთხვევაში.

თავი VI
სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს წევრის უფლება-მოვალეობები

მუხლი 10.
სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს წევრის უფლებები:
ა) სსს-ს წევრი მონაწილეობს სსს-ს მართვის ორგანოების მუშაობაში;
ბ) სსს-ს წევრს აქვს სათათბირო ხმის უფლება;
გ) სსს-ს წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სსს-ს მიერ ორგანიზებული ღონისძიებების შემუშავებაში ან თავად შეიმუშაოს პროექტები;
დ) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია სსს-ს საქმიანობის შესახებ.

მუხლი 11.
სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს წევრის მოვალეობები:
ა) შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები.
ბ) დაიცვას უნივერსიტეტის, ფაკულტეტის, სსს-ს სახელი, ავტორიტეტი, ერთობა და ქონება;
გ) ხელი შეუწყოს სტუდენტებსა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას;
დ) დაესწროს სსს-ს სხდომებს.

თავი VII
სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს არჩევნები

მუხლი 12.
ა) სსს წევრთა და გამგეობის არჩევნები ტარდება პირველ საერთო კრებაზე. სსს-ს მომდევნო გეგმიური არჩევნები ჩატარდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის დღეს, ხოლო შუალედური არჩევნები, საჭიროების შემთხვევაში ტარდება ყოველწლიურად.
ბ) სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის და შესაბამისად, არჩევნების თარიღს ნიშნავს სსს-ს გამგეობა.
გ) სსს-ს წევრად არჩეულად ჩაითვლებიან ის სტუდენტები, რომლებიც თითოეული სასწავლო პროგრამის მიხედვით და შესაბამისი კვოტების ფარგლებში მიიღებენ ხმების მეტ რაოდენობას, ხოლო მიღებული ხმების თანაბარი რაოდენობის შემთხვაში - ვისაც არჩევნების დღისათვის დაგროვებული აქვს მეტი GPA და კრედიტები;
დ) იმისათვის, რომ სსს იყოს პარიტეტული, მასში მონაწილეობდეს ყველა მიმდინარე სასწავლო პროგრამის სტუდენტი და ამავე დროს, დაცული იყოს სასწავლო პროგრამების

წარმომადგენლობა, სსს-ს არჩევნების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი პარიტეტის პრინციპი: საბჭოს შემადგენლობაში წარმოდგენილი უნდა იყოს მინიმუმ 1 წევრი თითოეული პროგრამიდან;
ე) 2018 წლისთვის, აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, დადგენილი იქნა სსს-ს წევრობის შემდეგი კვოტები სასწავლო პროგრამების მიხედვით:

სტუდენტთა სამეცნიერო საბჭო	წევრების რაოდენობა
ოკუპაციური თერაპია (ბაკალავრიატი)	1
სტომატოლოგია (ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა)	2
სამკურნალო (ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა)	7
სამკურნალო (ინგლისურენოვანი პროგრამა)	2
საზოგადოებრივი ჯანდაცვა (მაგისტრატურა)	1
კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა (დოქტორანტურა)	1
საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია (დოქტორანტურა)	1
სულ	**15**

ვ) იმის გათვალისწინებით, რომ სსს-ში საქმიანობა და არჩევნებში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი, თუ რომელიმე პროგრამიდან არცერთი სტუდენტი არ გამოთქვამს სურვილს არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე, აღნიშნული პროგრამისათვის გამოყოფილი კვოტების რაოდენობა დაემატება იდენტური საფეხურის ან მომიჯნავე სპეციალობის პროგრამის კვოტების რაოდენობას;
ზ) არჩევნების შედეგები საჯარო უნდა გახდეს არჩევნების დღესვე. საჩივრები არჩევნებთან დაკავშირებით დაიშვება შედეგების გამოცხადებამდე.
თ) მოქმედი სსს-ს წევრთა უფლებამოსილება წყდება, ახლად არჩეული სსს-ს წევრთა პირველი შეკრებიდან. ახლადარჩეული სსს-ს წევრთა პირველ სხდომას ნიშნავს და ხსნის მოქმედი სსს-ს გამგეობის წარმომადგენელი.

მუხლი 13.
ა) სსს-ს პრეზიდენტად (ფარული ან ღია წესით) შეიძლება აირჩეს სსს-ს ნებისმიერი წევრი საჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით. სსს-ს პრეზიდენტად ერთი და იგივე სტუდენტი არ შეიძლება აირჩეს ზედიზედ ორჯერ; ვიცე-პრეზიდენტად და აღმასრულებელ მდივნად (ფარული ან ღია წესით) შეიძლება აირჩეს სსს-ს ნებისმიერი წევრი საჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით.
ბ) იმ შემთხვევაში, თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმათა საკმარისი რაოდენობა, იმავე დღეს ტარდება მეორე ტური იმ პირველი ორი კანდიდატისთვის, რომელმაც დააგროვა ხმათა ყველაზე მეტი რაოდენობა; არჩეულად ითვლება პირი, რომელმაც მიიღო მეტი ხმა, ხოლო თანაბარი ხმების შემთხვევებში - ვისაც არჩევნების დღისათვის დაგროვებული აქვს მეტი GPA და კრედიტები.

თავი VIII
სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს ადმინისტრაცია და მათი უფლება-მოვალეობები

მუხლი 14.

ა) სსს-ს პრეზიდენტი ნიშნავს და ატარებს გამგეობის სხდომებს, ასევე ხელმძღვანელობს საერთო კრებას.

ბ) სსს-ს პრეზიდენტი ახსენებს სსს-ს წლიურ ანგარიშს წელიწადში 1-ჯერ სტუდენტთა ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციაზე;

გ) სსს ვიცე-პრეზიდენტი ასრულებს პრეზიდენტის მიერ მინიჭებულ ფუნქციებს, ხოლო პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში ცვლის მას.

დ) აღმასრულებელი მდივანი ასრულებს პრეზიდენტის მიერ მინიჭებულ ფუნქციებს. პრეზიდენტის დავალებით ნიშნავს გამგეობის და საერთო კრების სხდომებს და დროულად აცნობს საბჭოს წევრებს დღის წესრიგს. ადგენს ჩატარებული სხდომების ოქმებს.

ე) სსს-ის საერთო კრების და გამგეობის სხდომების ოქმებს ხელს აწერს პრეზიდენტი და აღმასრულებელი მდივანი.

მუხლი 15.

სსს-ს პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტისა და აღმასრულებელი მდივნის უფლებამოსილება ვადამდე წყდება:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) ქმედუუნაროდ გამოცხადების ან შეხვედრების არასაპატიო მიზეზით რეგულარული გაცდენის შემთხვევაში;

გ) წესდების ან საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევის შემთხვევაში იმპიჩმენტის წესით. იმპიჩმენტისათვის აუცილებელია სსს-ს წევრების სიითი შემადგენლობის 2/3-ის თანხმობა;

დ) სსს-ს პრეზიდენტის, და ვიცე-პრეზიდენტის და აღმასრულებელი მდივნის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, ერთი თვის განმავლობაში აირჩევა ახალი პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი ან აღმასრულებელი მდივანი.

თავი IX
სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს დაფინანსება

მუხლი 16.

სსს-ის დაფინანსების წყაროები:

ა) უნივერსიტეტის საგრანტო პროგრამებიდან მიღებული შემოსავალი;

ბ) მესამე პირის მიერ გადმოცემული ქონება, რომლის მართვაც ხორციელდება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით.

გ) დონორებისგან გრანტების სახით მიღებული შემოსავალი;

დ) ადგილობრივი და/ან საერთაშორისო იურიდიული და/ან ფიზიკური პირებიდან სსს-ს აქტივობების სპონსორობით ან სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის მასალებში სპონსორი ორგანიზაციის პროდუქციის რეკლამირებით მიღებული შემოსავალი;

ე) კანონით დასაშვები სხვა შემოსავლები.

თავი X
დასკვნითი დებულებები

მუხლი 17.

ა) დებულებაში ცვლილები შედის სსს-ს სიითი შემადგენლობის 2/3-ის მხარდაჭერით. ცვლილების შესახებ წინადადება შესაძლებელია მომზადდეს არანაკლებ სსს-ს სიითი შემადგენლობის 1/3-ის ინიციატივით;

ბ) სსს-ს მისამართია: თბილისი, ბელიაშვილის ქ. N78, ოთახი N

გ) სსს-ს უფლებამოსილია გააუქმოს მოცემული დებულება და შეწყვიტოს მისი საქმიანობა თუ მას აღარ შეუძლია დასახული მიზნების მიღწევა.